

მწერლისი



მე გარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი
დაჭავდების ცხოვარათვის. (იოა. 10—11).

გვლვე ცხოვარი ჩემი წარწუმებული. ესრეთ იყოს სიჩარული
ცათა შენა, ერთისათვის ცოდვილის. (ლუ. 15—4).

მოვებით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მიიჩნი
და მე განგიცველ რევენ. (მათ. 11—28).

№ 14

1883—1893

15—30 ავღასა.

შეკუთხესი იქნება, რომ შინაურ მართვა-გამგე-
ობასაც მიექცეს უურაღდება.

ამას წინეთ აღიძრა კითხეა, რომ გაემრავლე-
ბიათ როგორც ქორ-ცის კაპისების ისე დამოუკი-
დებელი ეპარქიების რიცხვი მთელს იმერიაში. ყვე-
ლანი ცხადათ ხედენ, რომ ჩენი საქმე საზოგადოდ
დამწყესისა, სწავლა-ქადაგებისა, მოძროებისა და
მართვა-გამგეობისა ისე არ მიღის, როგორც სასურ-
ელია. ამიტომ ყველას სურს, რომ ყველა ესები
სასურველად მიმდინარეობდეს. იყო დრო, როდესაც
სამლელელოების მდგომარეობის გაუმჯობესობისა და
მისი მიგალობის უფრო რიგიანად და ჯეროვანად
აღსრულებისათვის სამრელოები შეამოკლეს. იყო

დრო, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ ეპარქიების
რიცხვი შემოკლეულიყო ეპარქიალური საქმეების
მართვა-გამგეობის გაუმჯობესობისათვის. ძევლი დრო-
ის ეპარქიების, ეკლესიების, მღვდელ-მთავრების და
მღვდელთა სიმრავლე ერთის შერით შეუძლებლად
მიაჩნდათ. მყრამ ეს ძევლი დრო თავიდება მოვე-
შორისა. დაფა ახალი დრო თავისი ახალი მოთ-
ხოვნილებით. ძევლ დროსთან შედარებით დღეს
სასულიერო წოდების ყველა მოსამსახურე პირთა
ნიერიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა ყველასთვის
თვალსაჩინოა. ასი წლის წინეთ კაცი ვერ წარმო-
იდგენდა ნიერიერი მდგომარეობის ისე გაუმჯობესო-
ბას, რასაც დღეს ვხედავთ სასულიერო წოდებაში.
და მაღლობა ღმერთს, ჩემი მზრუნველი მართებ-
ლობა ნიაღაგ ცდილობს ამ ნიერიერი მდგომარეობის

უმეტესად გაუმჯობესობას. ყველა მოელის და რიგიც არის მოელოდნენ ჩენი შრომიდან უმეტეს ნა-
უოფს...

ამ ბოლო დროს წინეთ არა შეწყნარებული
სიმრავლე მწყემსთ-მთავართა და მწყემსთა დღეს
მრავალთაგან შეწყნარებულია და სარწმუნოებისა და
კეთილ-ზეობის განსამტკიცებლად დღი სიკეთეს
მოელინ ამ სიმრავლისაგან. და ჭეშმარიტად ეს
აზრი ნამდელიც არის. მაგრამ მარტო მწყე მსთ-მთა-
ვართა და ეპარქიათა სიმრავლე, თუ მათი მართვა-
გამგეობა რიგინაც არ იქმნა გარკვეული, მუკიც და
არ იქმნა განსაზღვრული და ასრულებული, და ჩენი
ნიკოთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა საქმეს ვერ
დაეხმარება

დღი ხანია, რაც გამოითქვა ის აზრი, რომ
ჩენენ კონსისტორიათა წესდებულება, თუმცა მშვე-
ნიერად არის იგი შედეგნილი, ყველგან ისე
არ სრულდება, როგორც სასურველია. ძნელად
წარმოიდგენს კაცი, თუ როგორ მდგომარეობაში
ვარჩება ხან-დი-სხან სოფლის მწყემსი სულ უძრავი
საქმებისა გამო. ამასთან ვინც კარგად აკვირდება
ჩენის ცხოვრების მიმდინარეობას, მის წეს-წყობი-
ლებას და ზე-ჩენებულებათა, ბევრს იმისთანა რამეს
შენიშნავს, რომელსაც ძელ დროში ადგილი არ
ჰქონებია, შესაწყნარებელი და მისალები არ იყო.

ეპარქიების მართვა-გამგეობა მთლად დამოკი-
დებულია ეპარქიის მთავრობაზე. ამ შემთხვე-
ვაში ზოგიერთები ხელმძღვანელობენ იმ აზრით,
რომ ძელ დროშიაც ასე სწარმოებდა ეპარქიების
მართვა-გამგეობის საქმეო. მაგრამ ახალმა დრომ
ბევრი რამ ისეთი კითხვა წამოაყენა წინ, რომელთა
განმარტებისათვის სულ სხვა ზომები და გამჭრიახობა
არის საჭირო. ამისათვის ძლიერ საჭიროა და სასარ-
გებლოც, რომ მწყემსთ-მთავართა და ეპარქიების
გამრავლებასთან ერთად ყურადღება მიექცეოდეს
ეპარქიების რიგინაც მართვა-გამგეობის საქმესაც.

და. დ. ლამაშიძე
ამისათვის ძლიერ საჭიროა და სასარგებლოც და მან უნდა იგი მოიხმაროს საჭიროების დროს
სასარგებლებელზე. დეკანზი ბრძანებს, რომ პანიონი

იმერეთის ეპარქიის სამდგრელოების დეპუტა-
ტების მე-XXXII კრება ქ. ქუთაისში, 22, 23
და 24 ოქტომბერის 1893 წ.

(გაგრძელება *)

იგნისის 24 ოქტომბერი, დილის ერთს სხდომაზე,
განხილულ და დამტკიცებულ იქმნა წარსულის წლის
ანგარიში სასწავლებლისა.

შემდევ სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა-აღ-
რიცხვის დამტკიცებისა და სასწავლებლის პანიონის
დახურვისა, დეპუტატება დაწყეს ბაზი დედათა სასწავ-
ლებლის გამგეობის თავ-მჯდომარის დეკანი უგარეთიშვი-
ლის ზემო მოხსენებული რაპორტის გმო. მ. დეკანი უგარეთიშვილმა განუმეორა კრებას, რომ მას თავის
გარდაწყვეტილება დაერღვია იმ კითხების შესახებ,
რომელიც რაპორტში იყო მოხსენებული. ამასთან
უმტკიცებდა კრებას, რომ მიუკილებლად პანიონი
გაეხსნათ დედათა სასწავლებელში, დაენიშნათ კომი-
ტეტი სასწავლებლის შენობის გადასაკეთებლად და
მოსაზყობად, და გარდაცათ 10000 მან., რომელიც
სამდევრულოების კრებამ ქალების სასწავლებელს შეს-
წირა და რომელსაც ქუთაისი სასარგებლების სამსართველო
სამსართველო არ იძლევა.

დეკანი დამბაშიძე. ქალების სასწავლებელს
სამდევრულოებამ თავის საკუთარი ფული შესწირა
45.400 მან. ამას გარდა გაიშერა გარდასახაუ ყო-
ველ წლივ შესატანი. ყველა წყაროებილან შეკრე-
ბილი ფული ყოველ წლიაბით ქალების სასწავლე-
ბელის სასარგებლოდ შესდგება 8000 მან. ეს ფულები
სრული საქართველოსა ამ სასწავლებლის ყველა საჭიროე-
ბათათვის. ყოველ წლში შეგროვილი ფულებიდამ,
სანაც ყველა კლასები გაიხსნებოდეს, იმდენი გაზაფრ-
ჩება, რომ სასწავლებლის შენობასაც გადაკეთებს
და ყველა მოთხოვნილებასაც სასწავლებლისას დაკ-
მაყოფილებს. 10,000 მანთო, რომელიც სასწავ-
ლებლის კასაში გვაქეს, უნდა დარჩეს სამდევრუ-
ლოებას და მან უნდა იგი მოიხმაროს საჭიროების დროს
სასწავლებელზე. დეკანზი ბრძანებს, რომ პანიონი
თუ არ იქნა ქალების სასწავლებელში, არ შეიძლება
უპანიონით შეიღების ხეირიანაც ბლზრდა.

*) იხ. „მწყემს“-ს № 13 1893 წ.

ვაკების სასწავლებელში, პანსიონი დახურულ, რაღაც ზარალის მეტი სარგებლობა ვერა დავინახეთ. შეორე ადგილას კი უნდა გაეხსნათო, თორემ საქმე არ გაკეთდებათ. როცა პირელად გარდეს წყვიტეთ საქალებო სკოლის გახსნა, მაშინვე გამოცაცადეთ, რომ ეს სასწავლებელი უნდა ყოფილიყო უპასიონოთ. პანსიონი უნდა ყოფილიყო სასწავლებელში, მაგრამ თეოთოულ მოსწერებს უნდა შეეტანა თავის საჩინო უულად თოვეში თო მანეთამდე. ჩეკინ ეშინჯეთ პანსიონის გამართვამ სასწავლებელში. მოვაწყეთ სასწავლებელში დასადგომი რთახები. დავაყენეთ ერთი პატიოსანი ქალი, რომელიც თუმნად და ცოტა ნაკლებადაც თანახმა იყო აეყვანა შაგირდები თავის ხარჯზე. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ერთი მსურველი მოსწავლე არ აღმოჩნდა სასწავლებელში დადგომისა ამ ქალთან. ყველინი ამბობდნ, უფრო იოლით გამოვდივართ კერძო ბინაზედო. მართალია, ქალიშვილების აღზრდას სულ სხვა თავ-დარიგი უნდა, მაგრამ არც ისე განახება შეიძლება და ისე უბრალოდ ფულის ხარჯვა, როგორც ზოგიერთ ადგილას იყიან. ახლო ხანად მე წავიყითხე ოდესის ეპარქიის ერთი საქალებო სასწავლებლის წლიური ხარჯის ანგარიში. ამ სასწავლებელში, როგორც სხანდა ანგარიშიდგან, წელიწადში დახარჯულა 800 მანეთი ფერ-უმარილშე და სხვა კომეტიურ ნივთებზე. მათი წახედვა როდი არგა ჩეკინ სამღვდელოებას, ჩეკინ იოლათ უნდა წავიდეთ. თუ სასწავლებელი გაუკეთოთ სამღვდელოებას, მასწავლებელი დაუქირავოთ, თეოთონ ნუ კი დაიშურებენ თავისი შეილების საზრდოს და რიგიან ბინაზე დააკენონ. სამეცნიერო სამღვდელოების შემოერთება სასწავლებლის საქმეში ჩეკინ უადგილოდ მიგვაჩინია. კიდას შემოეიერთებთ ჩეკინ, როდესაც თეოთონ ჩეკინებს თხეთმეტამდე უარი უთხრით სასწავლებელში მიღებაზე.

თუ ადგილი იქნება სასწავლებელში და მოხვენელი აღმოჩნდება ვინმე იმათგანი, არავის არ ვეტყვით უარს. რაიცა შეეხება აღმაშენებელ კომიტეტის დანიშვნას, ეს ეხლა მე ძლიერ მაკეირვებს. წარსულ წელში თვითოთ დეკანოზი ცაგარეიშეოლი იყო იმ აჩრის, რომ აღმაშენებელი კომიტეტი სას-

წაფლებლია, დარსებული სამღვდელოების კურებისაგან, რომ ის წერებათ თეოთონ დეკანოზი ცავარების შემთხვევაში, მე, მამა ჭირშილი და ე. ს. თუმარიშვილი, ეკიანით, გაუქმებულიყო და კილეც გაუქმდა. დღეს განაცხადებს, რომ აღმაშენებელი კომიტეტის დანიშვნა საჭირო არია. თუ საჭირო იყო კომიტეტი, რალაზე აუქმებდენ? ამ კითხვამ დიდი ბასი გამოიწვია დეპუტატებს შორის. კურებამ ერთხმად გარდაწყვიტა დაინიშნოს კომიტეტი, რომლის წერებად იქმნენ აღრჩეული დეკანოზი დეკანოზი და მამაშილი, ბლალოჩინები: ერმალოზ კანდელაკი და იელიანე აბესაძე. ამ კამიტეტს მოენდო შემუშავება ყველა აღმრული კითხვებისა ქალების სასწავლებლის შესახებ და ამ კამიტეტის აზრი უნდა მოხსენდეს შემდეგ რიგის სამღვდელოების კრებას.

კარგა ხან გაგრძელდა ბასი ეპარქიალური გაბრიელის დედათა სასწავლებლის შესახებ და უნდა ესთქვათ, რომ ბერე საყურადღებო ამბები აღმოჩნდა. ზოგიერთი პირები სოფლის მღვდელის ოფლით და ვაებით ნაშოენ და შეკრებილ ფულებს სასწავლებლების შესანახვად ისეთის თეალით უცქერიან, როგორც ზოგიერთი საერო წილების ბატონები ხაზინის ფულებს. ჩამოუგდეთ ერთი კაცებს საუბარი დამატებითი ფულების რელების შესახებ, აბა რა გითხრან!... ჯამაგირს ღერს კაცი 2000 – 3000 მ. უსახურნია თანამდებობაზე 10 – 20 წლიწადი, პერსიაც დაუმახურნია. რაც წანათ იყო, ის აღარ არის; დასუსტებულა, დაერდომალ, ვეღარ მუშაობს. რივიანად, საბერეც შემოპარება. მაგრამ ჯამაგირს გარდა რებს ჯამაგირ-სოლენ ფულებს — «დამატებით ჯამაგირს». რისოფნის? იძისთვის, რომ საქართველოში მსახურებს, და საქართველოში მსახურება, ხომ მოგეხსენებათ, რა სახნელოა! გასაკეირებელია, რომ მესამე დამატებით ჯამაგირს არ ძლიერენ. ვის შესტკია კინ გული ხაზინისათვეის? ვის ეტყვეის სინიღისი, რომ მეტი ფული არ აიღოს? ეს სიხარბე, ეს გაუშაძლობა და ასე უბრალოდ ფულების ფანტეა, სამწუხა-როდ, ჩეკინ უწევებაშიაც საქამად შემოვიდა. ზოგი სამღვდელოებისაგან შეკრებილი ფულების ხარჯვა-მოხმარებით გაგაოცებასთ. თავის ჯიბილება ერთ კა-

პიყს უერ გამოტებინებთ, მაგრამ იგივე პირი სამღვ-დელოებისაგან შეკრებილ ფულებს ადვილად გას-ცემ! აი მაგალითებიც: წარსულ წელში ოოგორუ ჩენებმა ვაჟების ისე დედათა სასწავლებლებმა რამდე-ნიმე სამუშევარი გასცეს კანტრაქტით. ოსტატებმა გააქცეს და ფულები ჩაიბარეს. საერთო წოდებაში ზოგიერთმა ხუროთ-მოძღვრებმა და უფროსებმა მო-უნერხეს მეკანტრაქტებს ხოლერის გამოისობით დამატებით ფულების მიცემა ხაზანიდამ. ხომ მო-გვხსნებათ, რომ ბევრს ადგილს ღარი დაისცეს ხო-ლერის გაჩენის გამო ზოგიერთება. ამ პირებს წა-ხედეს ჩენებმა მოკანტრაქტებმაც, შეიტანეს თხოვნა, ხოლერამ დიდი ზარალი მოგვცა და მოგვიმატეთ ფულებით. ზაგიერთმა ბატონებმაც გულეკთილობა გამოიჩინეს სამღვდელოების ფულებით და გარდასწ-ყვიტეს: მიეცეს მათ დამატებით კოდევ ამდენი და ამდენი. ნათევამია: ლხინს არა სჯობია რა, თუ შენი არა იხარჯება რაო. სამღვდელოების ფულებით მოწყალების გაცემას რა სჯობია? მაგრამ ერთი ჰკით-ხეთ ამ ბატონებს, თავის ჯიბიდამ რამდენი ფული მოუმატეს გარიგებაზედ ამავე მოკანტრაქტებს, რო-დესაც ხოლერობის ღრის თავის სახლებზედ ამუშ-ვებდენ? სრულებით არაფერი!...

დად, ზოგიერთებს ფულები დანახვეთ და მე-ტი არის რა საჭირო. ფულები უცოდინას ხუროთ-მოძღვრად გახდის და ათასნაირ შენობათა გეგმას შეადგენინებს, ოღონდ ფულები იყოს და სასწავლებლების შენობას ათასნაირად და ათას ჯერ გადაკეთებენ, როგორც ჩენენ სასწავლებლის ბჟე-რები კეთდებიან ხოლმე ზეღამხედვების გემოვნე-ბაზედ დასაწყისიდამ...

იმდინა ამ ბოლო ღრის მანც გამოიცდება სამღვდელოება და სასწავლებლების საქმეს კარგად დააკირდება და შეკრებილ ფულებს რიგიან განსაზ-ლერულ გზას მისცემს. ჩენენ მანც კიდევ ვატუეთ, პატრონი რომ იყოს, იმ ფულებით, რამდენსაც სამღვდელოება ხარჯავს ქუთ. სასულიერო სასწავლე-ბელზე, ორ ამისთანა სასწავლებელს შეინახდა კაცი და საქმეც რიგიანად წავიღოდა.

დეპ. გდ. ფაფაძე. შეუძლია თუ არა სამღვ-დელოების კრებას იქნიოს მსჯობობა გარდა იმ

კითხებისა, რომლის განსახილველად და გარდასაწ-ყვიტად იგა მოწოდებული, თავის ზოგიერთ საჭი-რო საქმეებზედაც, თუ ეს საქმეები საზოგადოდ წინა-აღმდეგი არ არიან სამღვდელოების კრებათა წესდე-ბულებისა? მე მივაჭცვ სამღვდელოების ყურადღებას ერთ გარემობას, რომელზედაც ღაპარაკი, წემის აზრით, საწინააღმდეგო არ უნდა იყოს არავისათვის. რა მიზეზია, რომ ასე უოტა რიცხვი შეგირდებისა გაუგზავნიათ წელს ჩენენ სასწავლებლიდამ თვითილისი სემინარიაში მაღლობა ღმერთს, სასწავლებელს ცო-ტა ფული არა აქვს არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ყველა მასწავლებლებს ჯამაგირზედ ცოტაოდენი ფული მოუმატე, ვეონებ ყველ წელს, თუ ორში, არ მაბსოვს კარგად, სასწავლებლის ფულებსაც იყო. ფენ საჩუქრად. ყველა სხვა სასწავლებლებში შეგირ-დების უმეტესი რიცხვი ღირსი ხდება შემდეგ სას-წავლებელში გარდავიდეს და ამ ჩენენ ქუთაისის სას-წავლებელში რაღა უბედურება არის, რომ ყველ-თვის მცირე ნაწილი თავებს ღირსეულად სწავლას და უმეტესობა უვარვისად. რით აიხსნება ეს სამწუ-სარო მოვლენა? მოქსთხოვთ პასუხი სასწავლებლის მთავრობას.

ი. დ. გაფრანდაშვილი. თქვენ არ შეგიძლიათ პრდაპირ სასწავლებლის მთავრობას პასუხი მოსთ-ხოვთ. თქვენ გყავსთ სასწავლებლის სამემართოე-ლოში წარმომაღენელნი ორი წევრი და იმათ მოს-თხოვეთ ცონბები ამ კითხის შესახებ.

დ. გ. ფაფაძე. მამალ ნ! (მიიქცა იქვე შემო წევრისამი) თქვენ ბევრს რამეს გვირჩებოდა, რო-დესაც დაგაუკეთ წერათ, მაგრამ ბევრში უოტასც ველარ ვხედავთ. გთხოვთ ვეაცნობოთ, რა მიზეზია, რომ ასე უოტას ეძლევა ნება თფილისის სასულიერო სემინარიაში შესვლისა. თუ მოწერილობას ვგზავ-ნიან სემინარიიდამ, რომ ცოტა გამოგზავნეთო აღ-გილის უმექონლობისა გამო, სხვა სემინარებში შესვლასთვის რისთვის აბრკოლებთ? თუ მართლა ის არის მიზეზი, რომ შეგირდები ცულათ სწავლო-ბენო, ამდენს ფულებს რაღაზედ გვახდევნებენ. ასე ცოტა შეგირდებმა რომ დაათავეს სწავლა პირველი ხარისხით, თქვენც სწორედ დაზიმუნდით, რომ მართლა სხვები ღირსი არ იყენებ მეტი ბა-ლის ასე.

წევრი 6. შეანგილებე, მეოთხე კლასის... შეგირდების გამომცდელ კომისიაში მე არ დაესწრებივას და არ შემიძლია ესთქვა ამაზე რაიმე გარდაწყვეტილი. გამომცდელი კომისიები ისე შეედგინათ, რომ ჩემთვინ არ შეუტყობინებათ, თორებ მე ვისურებდი მეოთხე კლასის შეგირდების გმოცდას დაესწრებოდი. მე არ მინახავს მოწერილობა სემინარიის მთავრობისა, რომ ცოტა შაგირდები გამოგზავნეთო, თუ არის, არც ის ვიცი.

ამ კითხებამაც დიდი ბაასი გამოიწევა კრებაზედ. მრავალ გზის მოსთხოვეს პასუხი სამართლელის წევრის მარა 6. შეანგილაქეს სხვა-და-სხვა კითხების შესახებ და ბოლოს ერთხმად გარდასწყვიტეს სთხოვონ. ყოვლად სამღვდელოს მოეთხოვოს სასწავლებლის, თუ რა მიზჩა, რომ ასე ცოტა შაგირდებს ეძლევა ნება სემინარიაში გადასცვისა; ამასთან შემდეგში მიაქციონ უურადლება, რომ შაგირდების მომეტებულ რიცხეს მიეცეს უფლება სემინარიაში გადასცვისა და თუ თყილისას სემინარიაში არ იქნება ადგილი, შეუძლიათ რუსეთის სხვა სემინარიაში წავითნენ, მიეცეთ მეოთხე ხარისხის შაგირდებს უფლება სემინარიაში შეცვლისა, რადგან სასწავლებლის წესდება, არ უკრძალავს მეორე ხარისხით კურს დამთავრებულთა სემინარიაში გადასცვლის.

აგრეთვე დიდი ბაასი გამოიწევა კრებაზე ერთხმა სამწუხარო ამბავმა, რომელმაც ძლიერ დაალონა ყველანი. ეს ყველასათვის სამწუხარო ამბავი გახდასთის, რომ ამ წელს სემინარიაში კურსდამთავრებულთაგან არც ერთი არ გაუგზავნიათ მაღალ სასწავლებელში — აკადემიაში. ამ კითხების შესახებ გრძელი სიტყვა წირმოსთვეა დეკ. დ. ლამბაშიძე. იმან განუმარტა სამღვდელოებას, რომ ჩენ კუთხეს მომეტებულად ექირვება უმაღლეს სასწავლებელში წწალა დამთავრებულნი პირნით. ისეა დღეს ჩენი ცხოვრება მოწყობილი, რომ ყოვლად შეუძლებელია მარტო სემინარიას «ცურულენიკებით». წინ წავიდოთ. თუ აკადემიაში სწავლა—დამთავრებულნი არ გვეყოლენ, ყველა შესამჩნევა აგვილებს სხვანი დაკავებენ და ჩენ სელარიელი დაერჩებით. გასაკვირველია სწორეთ ჩენი. შეხედულება მაღალ სასწავლებლებში შეიღების გაგრძელება, გრძნაზიერებიფარგან მარტო ორ-სამ პირს აძლევენ სტაციონალისა და დანარჩენი თავისი ხარჯით მიღიან

და კუნის ათავებენ. ვისაც შეძლება არა აქვა-დეს უმაღლეს სასწავლებელში, მათთვის მართვენ წარმოდგენებს, ფულებს კრებენ და ზოგს კიდევ სხვანარიად უმართვენ ხელს. ნუ თუ საექსარხოსოის სამღვდელოებას სამი კაცის გაგზავნა არ შეუძლია თავის ხარჯზე აკადემიაში? ჩენ იმედი გვაძეს, რომ თუ პირები წელიწადი როგორმე გასძლო აკადემიაში გაგზავნილმა პირმა, შემდეგ ბევრი რამ საშუალება აღმოჩენდება მას თავის რჩენისა. ჩენი ვალია ამ საქმეს ყურადღება მიეკუთხოთ და გამოვიდეთ ნოთ თავიდამ ის აზრი, რომ ვისაც სემინარია არ გაგზავნის, მათ გარდა სხვა პირთა გაგზავნა ვითომ არ შეიძლებოდეს აკადემიაში. ხშირად ხდება, რომ ისე-თები გაუგზავნით აკადემიაში, რომელიც გონებით უფრო ნაკლები ყოფილან სხვაებზედ. ყველამ ეკზე-მინია უნდა დაიკიტოს და რომელიც რიგანაც ნასწალნი აღმოჩებიან, მათ მიიღებენ. ისეც მომხდარია, რომ სემინარის სამართლელოდებან გაგზავნილნი და მოწონებულნიათ და სხვა მიუღიათ მათ ადგილზედ. შემდეგ დიდი ბაასისა ერთხმათ გამოითვა ის აზრი, რომ ამ კითხებზედ იქნება მსჯელობა იმ კრებაზედ, რომელიც არის დანიშნული საექსარხოსოის სამღვდელოებისათვის. ამა წლის 8 ივნის 8 დღისათვის:

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ამ კრებაზედ რომელიმე სემინარიელს სერვისი გნეცხადებია აკადემიაში წასელია და საშუალება ერთოვა სამღვდელოების კრებისათვის:

(უმართველი იქნება)

ორიოდე სტუდენტის სამუშაოს სამუშაოს დღის შესახებ.

ჩენი მკითხველები კარგად იცნობენ ბ. სამსონ თოფურიას კერძო სამკურნალოს. დაარსების შემდეგ ბევრი მომაკვდაცი იხსნა სიკედილისაგან და ბევრს გაჭირებულს და მშიე სწერებით დაგადებულ სხეულს მისცა საშელი ამ საავადმყოფომ. ბ. თოფურიას საავადმყოფოის ვრცელს ანგარიშს შემდეგში

შეიტყობს საზოგადოება. ხოლო ამ ქამად ამ ანგარიშიდამ მოგვყაეს ზოგიერთი ცნობები.

სამის წლის განმაელობაში მოსიარულე ავადმყოფთა განყოფილებაში 11,547 ავადმყოფი მისულა 31,961-ჯერ. იქვე მოუხდენით 1065 გამოყელება (ანალიზი) ნაცველისა თუ შარდისა და გაუციათ 320 მოწმობა. ამათგან უფასოდ მიულიათ 2706 კაცი, უფასო ანალიზი—195 და უფასო ჩოწმობა—141. მწოლიარე ავადმყოფთა განყოფილებაში ყოფილა სულ 551 კაცი; ამათგან უფასოდ მწოლიარე ავადმყოფი ყოფილა 183 კაცი: ქუთაისის განკიცია—30; სენაკისა—62, შორაპნისა—24, ჭუგლიდისა—13, ოზურგეთისა—6, რაჭისა—4, ლაჩხუმისა—1, სუხუმის ოლქისა—6, ქ. ფოთის შპსოერები—1 და ქუთაისისა—24 კაცი.

ამ 183.ს კაცს სამკურნალოში გაუტარებით 3146 დღე.

სამკურნალოში მძიმე ოპერაცია გაუკეთებით 208 და მსუბუქი 400-დღე.

მხედველობაში თუ მიერიღებთ, რომ თითო შისვლა სამკურნალოში ღირს 50 კ., თითო ავადმყოფის შენახვა და წამლობა დღეში 3 მ., ანალიზი 1—2 მანეთამდე და თითო მოწმობა 1 მ., დავინა-ხავთ, რომ ბ. თოფურის სამკურნალოში 11,224 მანეთის შემწეობა აღმოუჩენია ქუთაისის გუბერნიის მკეირთათვის. მაგრამ ეს სიკეთე მარტო ამ ჯამით არ აღირიცხება; ნუ დავივიწყებთ, რომ სანამ ბ-ნი თოფურია თავის სამკურნალოს გამართავდა, მრავალი მძიმე ავადმყოფი, განსაკუთრებით ხირურგიულნი საქმით ტფილის ან კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ და ღირდალ ფულსაც ხარჯავდნენ, დღეს-კი ეგმეტი ხარჯი საჭირო არ არის და ავადმყოფს შეუძლია თვით ქუთაისში მოიპოვოს შესაფერი მოვლა და წამლობა.

რასაკეირველია, რომ ბ. თოფურიამ ამ შეიძლებან ში კიდევ დაიმსახურა ისეთი პატივი, რომელსაც მოკლებული არიან დიდის ხელის ნაშისახურის ექიმები.

სტრატეგიული სურადებები.

დღიდ ხანია მიხედა კაცობრიობა, თუ რა განძია ადამიანისათვის სწავლა განათლება, გონიერი განვითარება. ეხლა ეს აზრი ჭეშმარიტებად არის აღიარებული ყველაგან და ყველასაგან. ჩევნაც, რასაკეირველია, არ უნდა გამოვაკლეთ გონიერ კრებულს კაცობრიობისას და რამდენადაც ძალი და ღონე შეგვწევს, კიდევ უნდა გამოვაცალოთ ამ ჭეშმარიტების სიმართლე თავის თავზედ—ვერადოთ შეძლებისადაგვარად ხელი შეეუწყოთ საკუთარს გონიერი განვითარებას. ამ ხელის შემწყობ მასალად უნდა მიერიღოთ დასტამბული გონიერები სალარო, სადაც კვალი დაუჩერია და საურადლებო ადგილიც დაუკეთია უკეთე გონიერის ტვინის ნაწარმოებს, რაც კი აღმოცენებულა ოდესმე და საღმე დედამიწის ზურგზედ. ამისათვის ყოველ ადამიანისათვის ძეირფასი და სანატრელი უნდა იყოს ამ სალაროსთვი კავშირი და კიდევაც უნდა ცდილობდეს კაცი გააღვილებულის გზით დაუახლოედეს მას. ასეთ საშუალებად დასახა კაცობრიობაშ წიგნთ-საცავები და სამკითხველოები. ეს დაწესებულება არის იერთი ნაკადული საიდამაც ყოველ მსურველს ადეილად შეუძლია დაიკვეთოს წილი და მით დაიშთოს ცნობის მოყვარეობის წყურვილი.

ამ ქამად იხსნება დ. ყვეირილაში წიგნთ-საცავი, რომელსაც მოკლეს ხანში მოემატება სამკითხველო წიგნებისა და ღრო-გამოშეებით გამოცემთა. აქვე

შეიძლება მოიპოვოს მსურველმა ყოველგეარი წიგნი საკითხავი და სამოსწავლო.

განზრახსული არის ძმობის დაარსება ყვირილის ახალ ეპკლესისთვის არგვეთის მთვართა დავით და ფონსტენცინგს სახელზედ. ამ ძმობას ექნება საკუთარი წესდება მართვა-გამგეობისა და სხვათა შორის უმთავრესი ყურადღება ექნება მიქცეული წიგნთვაცის რიგიანად წარმოებას ადგილობრივ პირობათა თანახმად. ამ წიგნთ-საცავს და სამკითხველოს ექნება მიზნად გაადეილებულის და ხან უსასყიდლო ლონისძიებითაც მიაწოდოს მკეიდრთა და მეზობელთა ყოველგვარი გონებრივი საზრდო და განამტკიცის მათ შორის კითხებისა და განვითარების სურვილი.

წესდება ძმობისა და ყოველი პირობები წევრად ჩარიცხვისა და მონაწილეობის მიუნებისა შემდეგში ეცწებათ მკითხველებს.

აწყვო მდგომარეობა ამ საქმისა, ყოველივე პირობები წიგნთ-საცავის არსებობისა და სხვ. მონაწილეობის მიღების მსურველს შეუძლია შეიტყოს «მწევმი»-ს რედაქტირაში.

იმედია, თანამოქმეთა კეთილდღეობის თანამდებობენი პირნი დაახლოებით გაეცნობან ამ საქმის გარემოებას და საერთო ძალების დახმრებით სხვებთან ერთან მოიწადინებენ დაუდევან ისეთი სათევ ამ საქმეს, რამელიც პირნალლად აუსარულებს სასურველ მოლოდინს შეენებულს ნაწილს საზოგადოებისას, და კარგადაც გაუნათებს გზას ბნელში შეყიფს, გზა-დაბნეულ თანამოქმეთს.

— ასე შეიძლება მოიპოვოს მსურველმა ყოველგეარი წიგნი საკითხავი და სამოსწავლო.

შედაგოგიური შენიშვნები სამრეველო სკოლის მასწავლებელთა საუკრადდებოდ. (წერილი შეხვეული) (დასასრული *).

ქალიან კარგადაც რომ ჰქონდეს მასწავლებელი შეოფიციული და სწავლების საქმეში გამოყენებული ყველა შემუშავებული ფორმები და მეოთლები სწავლებისა — ამ უკანასკნელის საქმე მაინც რიგიანად ვერ წავა, თუ ეს ფორმები არ იქმნა განცხოველებული თეოთონ მასწავლებლის მიერ. მასწავლებლის პიროვნებაზე, მისი გადაცემის თვისებაზე, გარეგნ მანევრებზე, მიხრა-მოხრაზე, ცოცლად სწავლებაზე, თავის გოგალეობისადმი სიყვარულზე, მოწაფეების სწავლაში წარმატების ზრუნვაზე, მათ განვითარებაზე, ღვევის მოყვარეობაზე, თავის-თავის ღირსების გრძნობაზე, მოთმინებაზე და აგრეთვე ამათ წინააღმდეგ თვისებაზე არის დამოკიდებული სკოლის ბედი და უბედისა. ერთის სირკეით ყოველს გონებითს და ზეობითს პიროვნებას მასწავლებლისას აქვს დიდი გაფლენა მის სწავლებზე. მასწავლებლის პიროვნება ისე მაქტედობს მოწაფეზე, რომ გონებათა მიქცევა, რომელიც გამოიხატება მასწავლებლის სწავლებაში, გაიღიძებს მოწაფის სულში, სადაც შესამჩნევად აღიბეჭდება ის ხასიათი, რომლითაც გაშესჭალულია მასწავლებელი სწავლებას ღრას — გულს მოღება, ან ტერსი, კუპოფილება, ყურადღება და სხვა, ან პირიქით მცონარება, უქამყოფილება, გაფანტულობა, უყურადღებლობა — აღიბეჭდება ბავშვის გონებაში, თუ მასწავლებელიც ამ თეოსებითაა აღკურებილი. ცხალია ამისათვის, რომ ერთსა და იმავე მეოთლეს, ანუ ერთსა და იმავე ღილაკტიურ წესს შეუძლია მიიღოს სხვა-და-სხვა სახე და მოიტანოს სხვა-და-სხვა შედეგი სხვა-და-სხვა მასწავლებელთა ხელში. აქ უადგილო არ იქნება შეგვიშნოთ, რომ მხოლოდ მარტო გარეგნობით პედაგოგიურ პირობათა შესრულებით — არა გულწუფელობა, თვალთ-მაქციაბა, ფარისელობა მასწავლებლისა არ გამოეპარებათ ბავშვებს შეუნიჭ-

*) ის. «მწევმი», 11, 1893 წ.

ნავად. ისინი უკირდებიან მასწავლებელს, ზედმი-წერით, დწველილებით გამოიცნობენ და შეისწავ-ლიან მის თვისებათა, ხასიათს, თუ სიტყვებიდგან არა—მისი მოქმედებიდგან და განსაკუთრებით სწავ-ლების ღრუს შემოლებულ წესებიდგან. მოწაფები ძალიან მალე გაიგებენ, რით ხელმძღვანელობს მას-წავლებელი—მოწაფების სიყვარულით, თუ თავის საყვარულით, ღვთის მოშიშებით, თუ კაცთა სათო-ებით, რის თანახმაც იქნება მისი მოქმედება სწავ-ლების ღრუს. მასწავლებლის სიტყვებიდგან არ შეიძლება არ გამოაშვარებეს მის მიერ გულგრილად შესწავლა თავის საგნისა, მაშასადამე გულგრილად სწავლებაც, ან ცოცხალი და გულწრფელი სურვილი და მეტალინბა გადასცეს ბავშვებს თავის ცოდნა. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთათვის დიდი ფილისურობას სოკრატის სიტყვებს. ერთხელ სოკ-რატმა სასწავლებლად მიბარებული ყმაწევილი ისევ უკან მიუყეანა მამას და უთხრა: «მე არ შემიძლია მაგის სწავლება, მისთვის რომ მე მაგის არ უყვარებართ». ამავე სოკრატმა სთქა: «ის კაცი, ესაც არ უყვარს და ისე უნდა სწავლება—ჰგავს ისეთს კაცს, რო-მელიც იჯარით იღებს მიწას და ჰერქობს მის გა-უძვირებესობას კი არა, არამედ—უფრო მეტი გამორ, ჩენა და სარგებლობა მიიღოს პირადათ; პირიქით ის, უისაც უყარს სწავლების საჭე და ისე ჰყიდვებს ხელს, ის ჰგავს მინდერის პატრონს, რომელსაც ყოველ-მხრიდგან მთავება ის, რასაც შეუძლიან გაამდიდროს საგანი მ-ისი სიყვარულისა».

საზოგადოდ ყველა და კერძოდ პირები დაწყე-ბითი სკოლების მასწავლებლების ყელა უმთავრეს თვისებათა შორის საპატიო დაგილი უნდა ეჭიროს მოთმ-ნებას, მასწავლებელს გული არ უნდა მოსდი-ოდეს, თუ გონიერითი და ზნებითი წარმატება მოწა-ფისა არ ამართლებენ მის მოლოდინს. ამით ბავ ვე-ბი სრულიადაც არ ფიქრობენ შეურაცხოფა მიაუ-ნონ მასწავლებელს, არამედ ეს წარმოდგება მათი სუსტი ძალისა გმო და ხშირად მასწავლებლის უმეტების, პედაგოგიური უმეტების ანუ დაუდე-რობის გამო.

როდესაც მასწავლებელი დაწველილებით გან-სახლერავს კირაობით გაკვეთილების რიცხეს თვი-თოვეულ განკუთხილებაში კველა საგნებისა, მან უნდა მოაქციოს აკრეთვე უზრადლება, თუ რამდენი გაკვე-

თოლი და რომელ საგნებში და რა ღრუს თვითონ უნდა იმეტადინოს და რამდები რჩება მასწავლებლის დამოუკიდებლად შესარიცლებელი მოწაფეების მხრით. ამასთან მასწავლებელი განსაკუთრებულ უკურადღებას უნდა აქცევებეს პირები განყოფილებას, რომელიც როგორც ცნობილია, კერძო უფრო ხშირად ით-ხოვს მასწავლებლის მხრით დახმარებას და ამიტომ რომელშიადაც რიცხეს დამოუკიდებელი გაკვეთილე-ბისა, სხვა განყოფილებასთან შედარებით. მეტად მცი-რება უფროსი განყოფილების მოწაუები უკე შეჩ-ვეული არიან სწავლებას. მათ კარგათ ესმის მასწავლებლის მოთხოვნილება, სკოლის წესიერება, შეგნებული აქვთ სხვა-და-სხვა უსაჭიროები ჩეგულება — მაშასადამე მათთვის მცირედ არის საჭირო მუდ-მივი უფრადება მასწავლებლისა, მისი წელმძღვანე-ლობა. ამას არ უცნედეთ პირები განყოფილებაში: აქ მასწავლებლის შემწეობა-დახმარება მოითხოვება ყოველ ნაბიჯზე, აქ მასწავლებელმა უნდა უჩემდნოს ბავშვებს — როგორ უნდა ისხდენ წერის ღრუს, რო-გორ უნდა დაიჭირონ კალამი, როგორ უნდა დაიღონ წინ რევულები და სხვა.

მარტო განსახლერა დამოუკიდებელ სამუშაოთა რიცხეისა საკმაო არ არის, საჭიროა კიდევ განისახ-ლეროს თეით ხასიათი ყველა ვარჯიშობათა; ამისათ-ვის უნდა გვეთავს სახეში შემდეგი პირობები: ა) დამოუკიდებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს მო-წაფის სულიირ ძალას; როგორც ძალიან ადელი, ისე ძალიან ძნელი სამუშაო არ ვარგა, რადგანაც მოწაფეები ამ შემთხვევაში ან ვერ შეასრულებენ საცუშაოს მასწავლებლის დაუმმარებლად და ან მალე შეასრულებენ და შემდეგ უსაქმოდ დარჩენილი ხელს ზეუშლიან მასწავლებელს სხვა განყოფილებას. თან მეტადინებაზე ღრუს. ბ) დამოუკიდებელი სა-მუშაო უნდა თან შეზრმილი იყოს მისთვის დანიშნულ ღრუსთან: რასაკეირებელია ძალიან ძნელია მიღწევა იქანდის, რომ როდესაც მასწავლებელი ერთ განყო-ფილებაში მეტადინობს, სხვა განყოფილების შეგი-დები ერთს წუთსაც არ მოცდენ საქმეს, ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უკეთესი გონება გამჭ-რიანი მოწაუე თავის ამხანაგებზე ადრე გაათავებს სამუშაოს; შემდეგ სტედან უსაქმოდ და იწყებენ ცელ-

ქლაბას, ეშვაობას. მასწავლებელმა თუ შეტყერია მეცადინობა უდრიოდ იმ განკუთხილებაში, რომელ-შიცაც თვითონ მეცადინობდა, საქმეს ბეჭრს ეცა უშევლის, რაფგნაც ერთს საქმეს გაკვეთებს, მაკრამ მაშინ მეტარეს ახდენს. მეორეს მხრით ძნელია ისცე, რომ კაცი მათემატიკურის სინამდვილით გამოიანგარიშოს, რამელიც დროს მითხოვებს, შემუშავებისათვის რომელიმე სასწავლი მასალა. რაც უნდა იყოს, მას-წავლებელი მაინც უნდა კითხობდეს, დაახლოებით შეძლებისა-და-გვარად შეუზიმეს, შეუფარილოს მიცე-მული სამუშაო დროს, რომელიც მის შესასრულებ-ლად არის დანიშნული.

გ) დამოუკიდებელი სამუშაოები არსაოდეს არ უნდა გაიპრეოდეს ნამდვილ გაკვეთილებისაგან: ხში-რად მოხდება, რომ მასწავლებელი ამგვარ სამუშაოებს უუკრებს, როგორც მავშების შესაქცევარ საშუა-ლებას იმ დროს, როდესაც ის სხვა განკუთხილებაში მეცადინობს; ამიტომ ზოგი მასწავლებელი მცირე უურადლებას აქცევს როგორც გამორჩევას ამგვარ სამუშაოებისას, ისე მათ შესრულებასაც, აქედან საკირხელი არ არის, რომ ეს გადაუცემათ ბავშებასაც, რომლებიც დამოუკიდებელ სამუშაოს ისე დაუწევებენ ცვერას, როგორც ან შესაქცევარ რასმეს და ან არა საჭირო სამუშაოს, რომლის შესრულება, შეკეთება შეიძლება როგორც მოხდება, მზოლიდ მოწაფები კი უსაქმოდ არ ისხდენ. თქმა საჭირო არაა, თუ რამდენი ბოროტება მოსდევს ამგვარად საქმის წაყ-ენას. პირიქით, თუ მოწაფები ხდედენ, რომ მას-წავლებელი უუკრებს დამოუკიდებელ სამუშაოებს სერიოზულად, როგორც ნამდვილ გაკვეთილებს და არა შესაქცევარ რასმე — თვითონ ისინი მოეპყრობიან სერიოზულად, საჭირო პატივ-ს სკომით. ღ) ერთ ხას-ათნი გაკვეთილები ერთად არ უნდა დაინიშნონ, რადგან ერთგვარობა მეცადინეობის საქმეში ძლიერ სწყინო ბავშებს და დალავს, ჰერიტაჟის, როგორც გონებით ძალას, აგრეთვე ბავშების გარეგან გრძელ-ბებსაც. ამიტომ პედაგოგები არ უჩევენ მასწავლებ-ლებს წერისა და გადაწერის, ხატვისა და წერის გაკ-ვეთილები ერთმანეთს მოაბან და სხ. ორი სათას ძალადატებას თვალებისას, წერის დროს, განსაკუთ-ხებით ცუდათ განათებულ როაზე, შეუძლია ცუ-

დათ იმოქმედოს ბავშების მხედველობაზე. ამაირად გაგრძელებულმა მუშაობამ ანგარიშშიდაც, რომელიც ითხოვს განსაკუთრებით გონების ძალადატანება, არ შეიძლება არ მოღალოს, მოქანცოს გაეშეს უმთავ-რესი შემგნებელობითი ნიჭიერება: ყურადღება, გუ-ლის უური, მეტსიერება და აზროვნობა; ამიტომ სასაჩვენებლოა, რომ ყოველ ნახევარ საათის შემცემიც ცველებოდეს სამუშაოება.

პირებულ-დაწევებით სკოლების მოწყობაზე, სას-წავლი საგნებზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა წევნისა და უცხო მშერლაბაში და დღესაც ბევრის ლაპარაკობენ. ბევრიც ეხლა იმ აზრისა, რომ პირებულ-დაწევებით სკოლის მიზანი წერა-კითხებს და მცირე ანგარიშის შესწავლაში მდგომარეობს, ზოგი ამბობს, რადგა-ნაც სკოლა ყოველთვის ხალხის სასაჩვენებლოდ არს-დება და წევნი ხალხი საზოგადოდ მიწა-მოქმედი ხალხია, ამიტომ წევნთვის უური საჭიროა სამეცნ-ნეო სკოლებით. ზოგი ამბობს სოფლის სკოლის კურსი ცვალებადია, არაფრი მუდმივი არა აქესო, ზოგი კი პირიქით ამტკიცებს, რომ საფუძველი ელე-მენტარული სკოლის კურსს აქეს მუდმივი და საზო-გადოებრივი, რადგანაც ის გამოიდის კაცობრიობის დელა აზრიზეან ბავშების გახსნა-განვითარებაზე. კა-ნონმდებლობით მიზანი პირებულ-დაწევებითი სკოლია შემცემი მდგომარეობს: გამტკიცება ხალხში საჩწ-მუნიკებრივი და ზნეობრივი ცნობებისა და გარეულება პირებულ-დაწევებით სასაჩვენებლო ცნობებისა. ამის მიხედვით პირებულ-დაწევებით სკოლების სავალ-დებულო კურსს წევნში შეაღენს შემდგენ საგნები: საღინათო სჯული, რუსული და ქართული ენები, არითმეტიკა, გეომეტრია; სამშობლო იტორია და გეოგრაფია, გალობა და გინეასტრიკა. თუ რა ადგი-ლი უნდა ეჭიროს ყველა ამ საგნებს პირებულ-დაწე-ვებით სკოლებში საზოგადოდ და წევნ სკოლებში კუ-რსი, ამასე შემდეგში მოეღლაპარაკებთ.

დ. ბლცებები.

შ უ ფ უ ნ ე ბ ა

(გაფრთხელება *)

უუფუნება შეიძლება განვიჩილოთ მესამე მხრია, ე. ი. კანონმდებლობითის მხრით. მართლაც, შეიძლება კითხო თავის თაეს, მასათავსებელია თუ რა უუფუნება უფლებასა და სამარ ლიანობასთან. ქრისტიანული გადმოცემა პირდაპირ უარჲყოფს — რაო და სახარებაზი ბევრია ამის აამამტკაცებული ადგილები. ლაპარე მიღებულია აბრამის წიაღშე, მდიდარი კი ჩაერა ცეცხლის გენიში. უფრო აღვილია აქლემი, თუ აქლემის მატყლის ბაგირი, გაძრესო ნემსის კუნწში, ვინემ მდიდარი შევიდესო ცის სასუფლებულში. «ვაი თქვენდა მდიდარნო, ვინათგან პოებთ ბენიერებას ამ ქვეყნად». ფუფუნება, რაიცა შეადგინს თვითმოყვარებითს და უმართლო სარგებლობას სიმიღილით, ერთბაშათ განკიცხულია ქრისტიანულის ზნეთმოძრებით. ეკკლესიის მმანი თანახმანი არიან რაოდნებამე თანაწორობაზე უფლებისაებრ. ვისაც მომეტებული აქცს, მას არ შეუძლია კანონიერად მოიხმაროს იგი მხოლოდ თვისდა სასარგებლოთ. მან უნდა გაუყოს აგი უქონელს. «მდიდარი არისო მხოლოდ კონომი ლარიბისა, ამბობს ერთი მექაგებელი, ღმერთმა ადამიანები დედამიწას დააპატირონა იმისთვის, რომ მათ ისარგებლონ მისი ნაყოფით, თვითეულშა თავის მოთხოვილებათაებრ... როცა მდიდარი სამოწყალოს იძლევა, იგი ტყულათ ნუ იკენის სიუცვეს, იმიტომ რომ ეს სამოწყალო არის ვალი, რომელსაც ის იხდის; ეს კანონიერი ნაწილია ლარიბის საკუთნელი და ამის უარყოფა იქმნებოდა უსამართლობა». წინააღმდეგ უთანაწირობისა და მისის შედეგის უუფუნებისა ეკკლესიამ დასახელა მხოლოდ ერთი წამლი: მოწყალება და მარად მოწყალება. მაგრამ რა უნდა ვეჭნათ, როცა საპოლიტიკო ეკონომიკა ამოკიცებს, რომ მოწყალების გაცემს მოსდევსო უქმნია, გლახაობა, უმოძრაობა, ხასიათების დაქვეითება და რომ, ბოლოს იგი არაა სამართლიანი; რაკი ამას იხდის ამა თუ იმა საშუალებით ისეჯ-ის არმუშების სასარგებლოთ მომუშავენი თუ დალის, თუ ხარკის სახედ.

*) იხ. «ძეგვმსი»—ს № 13, 1893 წ.

აფორი სახელოების თხზულებისა და აღი რჯულთა მონტესკია მაწმობს: «კრიმი სიმიღილები დიდებიან მხოლოდ წარმოედის თუ გამოტყუბის საშუალებით მოქალაქეთა ერთის ნაწილისა. გან მისა, რაც მათთვის მაუცილებელია ფიზიკურათ; ამიტომ რიგია და მართებული დაუბრუნველებეს მათ წარართმევი». მაგრამ რა გზით? — იმ გზითაო, გვიპასუხებს დიდებული საპოლიტიკო მწერალი, რომ მდიდარებმა უნდა ფლანგონო თავიანთი სიმდიღე და მთავრებამაცაც, თუ საჭირო იქმნეს, ამულობს ისინი იმაში. ესც მეორე შეციდარი შენედულება. კეშმარიტი სამუალება უფრო მდგომარებს იმაში, რომ მიენდოს საკუთრება, რაც შეიძლება, მომეტებულ რიცხვს მოქალაქეთა. მოახდინეთ ისე, რომ თვითეულს ქონდეს ნაჭერი მიწა, ერთი სამრეწველო აქცია, თუ აბლიგაცია, ერთი სიტყვით პატარა სათანო, კაპიტალი. გაასათეოთე საკუთრება, და მაშინ, რაკი თვითეული ისარგებლება თვისის შემომის ნარეწით, გაქრება ის, განკიცხული საპოლიტიკო ეკონომისა და ქრისტიანობისგან, უმართლო უუფუნება, რაიცა მოუშერებელი შედეგია უთანასწორობის. თუ კი მექანიკის წარმატებანი გააღილებენ ნარეწებს და უფრო ლამაზათ გაძლიან მთ, ისინი კულასათეის ხელმისაწვდომი გახდებიან. დიდებულ ვალტერს ხომ ბევრი საფუფუნო უხიავობა სჭრდა და გამოუჟვამს კიდეცა, მაგრამა კი კიდევ რასა სწერს თავისის „უილოსოფიურ ლექსიკონში“: «თუ უუფუნებად ჩავთვლით უკველ იმას, რაც საჭიროებას აღემატება, მაშინ უუფუნება ყოფილა ბენებრუვი შედეგი კაციანათესავის წინსელისა და ამასთანავე მიუცილებელი შედეგი საკუთრებისა, ურომლისოთ ერთიანებებს კერავითარი საზოგადოება. შედეგი იგი პრეცენტე მდგომარეობათა უსწორმასწორობისა, რომელიც გაუჩინია საკუთრების უფლებას კი არა, არამედ ცუდ კანონებს. ცუდი კანონებია უუფუნების მშობლელობის უფლება, კაი კანონებია კი ამიტომაც მისი მომსპობის. ზნეთმოძლეური უნდა მამართავდენ თავიანთ წადაკებით კანონში დებელთა და არა კერძო პარებს. ეს იმიტომ რომ ადგილი შესაძლოა რომ განათლებულს და კეთილმოქმედ კაცს ქანდეს ხელთუფლება გამოსცეს განიერი კანონები, მაშინ როცა ადამიანის ბუნების შეუფუნება

შეიცვლება. ვნებს თუ არა ადამიანს თამბაქოს წევა? თამბაქოს წევა ძლიერ მავნებელია ადამიანის აგებულებისათვის, მეტადრე ახალგაზდა ურმათათვის. რადგანაც ჯერ დაუმდგარ ორგანიზმს უშლის ფიზიკურ განვითარებას და უჩენს გულის ანორმალურ მოქმედებას. იგი განსაკუთრებით ავნებს გულს და ეკუთვნის გელის საწამლავებს. რა არის მიზეზი ამგვარის მავნებლობისა? უმოავრესს მიზეზად ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ის, რომ თამბაქოს ფურცლების და კვამლის შემაჰგენელ ნაწილებ მორის არის საშინელი საწამლავი, რომელსაც „ნიკოტინს“ ეძახიან (Nicotianum tabacum). ნიკოტინი აღმოაჩინეს 1809 წ. მაღალ ხარისხის თამბაქოში ნაკლებად არის ნიკოტინი, მინემ დაბალ ხარისხისაში. ნიკოტინს გარდა, თამბაქოს ფურცლებში და კვამლებში სხვა-და-სხვა გესლიანი ნივთიერებანიც არიან: მუავე გესლიანი წყალი, (синильная кислота), ნახშირ-მხადის უანგი (окись углерода), ნახშირის სიმევი (угольная кислота), ეთერის ზეთი (эфирные масла) და სხვ.

ნიკოტინი არის გესლი, რომელიც თავშა-ზირველად ადამიანს ადუძრავს და მერმე უდუნებს ნერვების სისტემას. მიუწვეველია კაცმა რომ მოსწოოს თამბაქო და გადაყლობის კვამლი — მას ჩვეულებრივ მომაკვდავის სიუვითლის ფერი გადაევრის სახეზე, პირის სახე დაემანქება, შებლი და ხელები გაუოფლიანდება, მაჯის ძარღვი გვიან-გვიან უწევს ცემას, პირიდგან ნერწყვი დაუწევს დენას, მუხლები ძლიერ უსუსტედება, გულს მოწევეტილად გრძნობს და ბოლოს პირიდანაც წააზიდებს. ამ მდგომარეობიდან მაღალ ივენიზლებს კაცი და რჩება, მაგრამ დროებით უტოვებს თავის ტევილს, მაღალ ეკარგვის და თამბაქოს ბოლო საშინლათ ეზიზლება. თუმცადა ასრე საშინლათ შეაწევებს ადამიანს პირველად თამბაქოს მოწევას, მაგრამ ის, რაღაც თავის გაუგებარი მიზიდულობით, ხელახლა იმეორებს მეორეთ და მესამეთ თამბაქოს წევას, და, ბოლოს, რადგანაც ორგანიზმი თან-და-თან იწამლება, ადამიანი მთლათ ეწვევა თამბაქოს წევას. რაგო კაცი ერთხელ მიეჩვენა რამეს — მერმე იმის გადაჩევა მეტად საძნელოა:

«ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესია» — ამბობს ქართული ანთაზა და ადამიანიც ძლიერ ცუდა — თა გრძნობს თავის თავს, თუ რომ ზაფის დროზე არ დააკმაყოფილა თვისი არა ნორმალური მოთხოვნილება. უცელა აქ მოხსენებული წარ. მოსაზღვება იმის გამო, რომ კაცი, როდესაც პირველად იწევას თამბაქოს წევას, არ ად ლევს თავის თავს ანგარიშს, თუ რათ უნდა მოსწოოს თამბაქო; არამედ ხელავს, რომ საშვებიც ბევრი ეწვიან — ისიც ჭიბაძეს იმათ (ალბათ ასე უნდა) და ბოლოს, ამ წინდაუცედავი და გაუგებარი მიბაძველობით ხდება უკრმოჭრილ მონათ თვისი გაუგებარი საცუილისა და ბუნების წინაადმიდევი მოთხოვნილებისა. თუ რომ ნიკოტინი ბევრი შეერია ადამიანის სისხლს, კაცს ეს საწამლავი ცრნბას უკარგავს, მაჯის ძარღვის ცემა მთლად უქრება, სულითემა შეეხუთება და კვდება. საკუმან კაცმა 1—2 წვეთი ნიკოტინი მიიღოს, რო მოიწამლოს და მოკვდეს, მაგრამ ადამიანი ერჯერ თორჯერ თამბაქოს მოწევით ძლიერ ცუტასა ჭილაპაკას ნიკოტინს, მაგ. 1/10 წვეთს და კიდევ უფრო ცოტას, რომლის გამო ის თანთარი ეწვევა გესლიან ნივთიერების შეთვისებას და ის წინაადელი 1—2 წვეთი, რომელიც მას პირველად რომ მიეღო, უსათურდ მოჰკვლავდა — შემდეგ, ადვილათ შესაძლებელია, რომ 1—2 წვეთი ერთბაშათ მიიღოს და არ მოკვდეს. ე. ი. ადამიანის აგებულება მოიწამლა, შეეჩინა მომწამვლელ ნივთიერებას და ადვილათ შეუძლიან აიტანოს ზომაზედ მეტიც, თუ რომ შემთხვევამ მისცა *). უცელა ამაებს ის შედეგი აქვთ, რომ ადამიანს თვეობით და წლილობით ეჩინდება სხვა და-სხვა ორგანოების სწერულებანი: კუჭის, სასულეულის, სასუნთქვავი ყელის და ფილტრების ავათმუროვანი (катаррბი). რომ თამბაქოს წევა მავნებელია, ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, აწ განსვენებული, დაზათ ცნობილი რუსეთის პროფესიონის ს. 3. ბოტეგინი; აი რას ამბობს ის. «ჩემი ექიმითის პრაქტიკიდან ბევრი კაცის გადარჩენა შემეძლო უდროოდ სიკვლილისაგან», თუ რომ მე შეძლებოდა იმათ ხელიდგან პატიოლის გამოგლეჯან» და სხვ. თუმცადა ცხადად არის თამბაქოს წევას. რაგო კაცი ერთხელ მიეჩვენა რამეს — მერმე იმის გადაჩევა მეტად საძნელოა:

*) ამას თვით ფიზიოლოგიას განიანი გვიმტკიცებს.

გმარენის ული და დოტკაცებული თამბაქოს
მავნებლიაბა, მაგრამ სამწუხაროდ, თამბაქოს
მოუვანა უფრო და-უფრო ვრცელდება. რომ
თამბაქოს ხმარება უოველ წლის ბით მატულობს,
ამას გვიმტკიცებს შემდეგი ციფრიები:

1882 წ. ოთვლებიდა რუსეთში 288 თამ-
ბაქოს ქარხანა და 1885 წ. ამ რიცხვმა 419-დე
აადრია. თამბაქოს მექანიზაცია პ. მანგების გა-
მოცხადებულ ცნობებიდან. სჩანს, რომ 1892 წ.
რესტრიდ თამბაქოს მოწვევათ:

დაბალი ხარისხისა (მახორკა)	2,500,000	ფუთი
სიგარება	66,000	»
პაპირუსები	377,000	»

პეტერბურგში პაპირუსებს უფრო ეწვევან
და უვალ წლის ბით $1\frac{1}{2}$ მილილიარდი ცალი
იხარჯება. 1892 წ. ჩვენ თამბაქოს მეფიანიგებს
გამოუშვით:

პირველი ხარის. პაპირუსები	13,000,000	ცალი
მეორე	3,000,000	»
მესამე	27,000,000	»

რითი უნდა ასესნას ამისთანა საოცარი
გავრცელება თამბაქოს ხმარებისა? რათავარვე-
ლია, ერთი მეორის მიბაძვით და ჩვეულების
წყალობრ. უმთავრესს მიზრზათ თამბაქოს ამ-
გვარი გავრცელებისა უნდა ჩაითვალოს სასწავ-
ლებლები, სადაც ახალ შესულნი ყმაწვილები,
რაც ხედვენ, რომ მათი ამანაგები ეწვევან —
ისინიც თავის თავის ანგარიშის მიუცემუათ
ჭიბაძვება თავიანთ ამანაგებს და ეწვევან ამ ხა-
ზიზუარ საქციელს, როგორიც არის თამბაქოს
წევა. დღითათ სასიამოვნო იქნებოდა, რომ რო-
გორც დაბალ ისე საშეალო სასწავლებლებშიად
მასწავლებლები და უფროსები უფრო რიგიან
ჯერადებას მიაწვივდნენ ამ გარემოებას, ვიზრე
იქამომდე. საჭიროა აგრეთვე, რომ მასწავლე-
ბელნი და თვით მშობლები თვათონ არ აძლევ-
დნენ მაგალითს ყმაწვილებს და იმათთან არ
ეწვეოდნენ თამბაქოს, რადგანაც ყმაწვილი, რაკი
ხედავს, რომ მისი უფროსი ეწვეა — თითონაც
ცდილობს მიჭიბაძოს მას და ვერაფერი გზით
ვერ დაჯერებთ, რომ თამბაქოს წევა მკვნებე-
ლია. ამ ჭაზრის შესხებ რესერის გამოჩენილა
მწერალი ლ. ტოლსტიო ამბობს: „ნიკ ეკრით
ეს, მაგრამ ამას და მანც კარგ აზრს ვერ შეადგინდა
ჩემს ერავნულს შემეწერაზე, თუ გინდ თვით იგივე
მართლაც და საპატიო უკოველი, რომელმაც წელს
სამიზად მანეთი გაუკავენა ივერიის რედჭ-
ობას რესოველის ძევლისათვის.

ცხადია, რომ ცუდ შედეგს იქონიებს, როგორც
თვით მწეველ დაზარებულ, აგრეთვე ახალ ჩასა-
ხულ ურმაზედც. როგორც ვფიქრობთ,
წმინდა ეპილესიაც უფრდალავს ეპილესიის
მისამაცერებებს თამბაქოს წევას; რასაგირვე-
ლია, ურიგობა იქნება სწორეთ, თუ რომ
მჟღველობა დილის თამბაქოს მისწია, გამოივება
თამბაქოს გვამლით და მივიღა ეპილესიაშიდ
და სამაცეროს შესასულებლად. ან და,
რა ჭაზრი უნდა შეადგიროთ თქვენ იმ ექიმ, გინა
ფერშერჩევ, თუ რომ პირველი ან მერე
დაიწების თამბაქოს წევას იქ, საფაც, სასნეუ-
ლოშიდ, ავადმყოფები წევლარიან?

სარდიონ პ. მაძლაბერ.

ახალი აშები და შენიშვნები.

ჩვენ ნამდვილ წყაროდან შევიტყოთ, რომ ნე-
ბა-დაურთავსთ ყოველ თიუკურ სამეცნიერო ურ-
ნალის მომზადების გამოცემაზე. ამ ეურნალის რედაქ-
ტორად იქნება ბ. ალ. ჭყონია, ხოლო გამომცემე-
ლია ბ. ნიკო ბეს. ლორდაბერიძე. ურნალი წლით
ელირება 10 მ.

ნუ დაუჯერებთ თბილისის განხეთებს, რომელ-
თაც გამოაცხადეს, რომ თბილ. სას. სემინ. ყოფილი
აეკტორი მ. არქ. ტიხონი გარდაიცვალა. პეტერ-
ბურგში აჩემანდრიტი ტიხონი გარდაიცვალა, მაგ-
რამ ის სულ სხვა ტიხონი იყო.

**«ეკრი»-ში ამ წარულ თვეის რიცხვში დაიწყებ
ნების მაწერა შეთა რესოველისთვის ძეგლის ასა-
გებად. ამ საგანე იმავე განხეთში დაიბეჭდა ბ-ნის
შეელექ მეთაური წერალი, რომელ შეიცვალა სა-
რის მაღლობას უძლენიდა ერთს საპატიო უცხოელს
პირს, და მაგრამ ერთომეც მას პირველად აღეძ-
რას ეს საგანი და შეეგონებინოს ქართველობისათვის
დიდებულის პოულის მიმართ დაეიწებული მოვა-
ლობა.**

ეს უკანასკნელი გარემოება რომ ნამდვილი
იყოს, მაინც და მანც კარგ აზრს ვერ შეადგინდა
ჩემს ერავნულს შემეწერაზე, თუ გინდ თვით იგივე
მართლაც და საპატიო უკოველი, რომელმაც წელს
სამიზად მანეთი გაუკავენა ივერიის რედჭ-
ობას რესოველის ძევლისათვის.

„ნიკ ეკრით
ეს, მაგრამ ამას და მანც კარგ აზრს ვერ შეადგინდა
ჩემს ერავნულს შემეწერაზე, თუ გინდ თვით იგივე
მართლაც და საპატიო უკოველი, რომელმაც წელს
სამიზად მანეთი გაუკავენა ივერიის რედჭ-
ობას რესოველის ძევლისათვის.

№ 144

მოვაგონებთ შეითხეველის საზოგადოებას, რომ რუსთველის ძევლის ასაგებად ხელის მოწერა გამართული იყო უკე 12 წლის წინად «დროების» თაოსნობით (1881. წ.) და კიდეც შეიკრიბა მაშინ ამ ყოველად სიმპატიური საგნისთვის ორასითვე თუმანი. შემწირველთა სიგბა წესირად იძექტებოდა ხსნებულს გაჭერა «დროება»-ში რომელიც შემდეგ იყოდა ს. შესხისაგან პატივუფეულმა ი. გ. მაჩაბელმა. — სხვა მოვალეობათან ერთად ხომ არ გადასულა ბ. მაჩაბლის ხელში ზემოხსნებულის საგნისთვის მოვროვებული ფული ფულიც?

ჩეენ გულწრფელად გვაჯრა, რომ თუ ბ-ნის მაჩაბლის ხელში გადეიდა მაშინ ის ფული, დღეს იყო ნამთავნით იქნება დანიშნულებისამებრ მომხადებული, რადგან ყველამ კარგად ეცილთ ბ. მაჩაბლის საზოგადო საქმისათვის გულშემატკიცრობა და უანგარო პატიოსნება. და თუ მის ხელში არ გადასულ ის ფული, მაშინ ყველივე იძელი უნდა გადეიწინდოთ მისი კუალის პორნაზედაც-კი...

* * *

ბ. ილია ფერაძეს, რომელმაც წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ღვთის-შეტყველების ქანდიდატის ხარისხით, გადაუთარებითა ქართულ და რუსულს ენაზედ ფრანგის ეპიკოპოსის ფენელონის თხზულება «ქალწულთა ზრდის» შესახებ. ეს თარგმანი ამ მოკლე ხანში დაისტაბება.

* * *

ჩვენ მიეიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად წერილები შემდეგ პირთაგან:

1) სოფლის ხონის წმიდის გორგის ეკულესის მღვდლის დაეთ კერძ-ნაძისაკან:

«მ. რედაქტორ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიძოძოთ, რომ თქვენის პატივუფეულის ჟურნალის «მწერების»-საშუალებით გულითადი მაღლობა გამოეუხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრეველმა ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ეკულესის სხვა-და-სხვა ნიერები. ა) შემწირველთა სიაც; ფალისტინა მაჭარინანისა აბაშიძის ასულმა ოლარი და ფილონი ხაერლისა სამგლოვიანო, ლირებული 18 მ.; ზურაბ ღამბაშიძის ასულმა ანნამ სახარების მოსაკრედად 4 მ.; ელიზაბეტ გაბერძის

ქრისტიან ტრაპეზის ჯვარი, ლირებული 3 მ. და მალაქა პაპიქემ ერთი პატარა ღვთის-მშობლის ჟდენი, ლირებული 1 მანეთად.

2) მღვდლის მელიცონ ჯორბერაძისაგან:

„მ. რედაქტორ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიძოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწერების»-საშუალებით გულითადი მაღლობა გამოეუხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრეველმა ქვემოდ აღნიშნულ ღვთის მოვეარე პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემმა დამო რწმუნებულ ღვთის ღვთის-მშობლის ეკულესის ფულები და სხვა-და-სხვა ნიერები: ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლემ დაეთ დიმიტრის ძე მეგელა ძემ თოთხმეც მანეთად შემკაბინა სახარება აგრეშუმის ხაერბილითა და მაცხაოლის მახარებლების ხატუბით; კაპიტანმა კონსტანტინე ასალოს ძე ჭურინიშ ერთი კარგი კანდიდი, 1 წყვილი ბარბარ-ფეშხუმი თავიისი მოწყობილობით და ოქრო-მკედით ნაქსოვ დაფარნით, 1 წყვილი ტრაპეზედ დასადგამი სანაწილე, 18 არშინი პუდგენს მატერია, რომელიც მოვიხმარეთ ტრაპეზის გადასაფარებლად და სამეუფლ კარების დასაბურავათ, 4 პატარა ხატუბი და 1 ხელი მღვდლის შესამოსელი; ყველა ზემო აღნიშნული ნიერები ლირებულია 281 მანეთად; მატა თავართ ქილაძის ასულმა ჭურინისამ 1 წყვილი მ-ლალი სასანთლები, ლირებული 25 მანეთად; ასწ. მიხაილ ასალოს ძე ჭურინისამ 1 ჯვარი, ლირებული 3 მან.; ას. დიმიტრი დაეთის ძე გელაძემ 3 მან. ფული, 1 პატარა კანდიდი, 4 პატარა ხატი მაცხაოლისა და ღვთის-მშობლისა, სულ ლირებული 14 მანეთად.

სასურენელია, რომ ზემოდ დასახელებულ პირთ მაგალითს სხვებმაც წაპარონ და მითი შემწეობა აღმოუჩინონ ჩეენ ღარის ეკულესიებს.

3) თევლითი დედათა მონასტრის წინამშლირ სათანასისაგან:

«უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივუფეულის გაზეთის საშუალებით გულითადი მაღლობა გამოეუხადო სოფელს ანტონევს მცხოვრებს დიმიტრი ნადარციშვილს, რომელმაც ზესწირა ჩემდამო რწმუნებულს დედათა მონასტრის გარდამოსხია, ლირებული ასი მანეთისა».

უმაღლესი რესპუბლიკი და მთალიერზების მარტინ გარეშე მყოფს მღვდელს ნიკოლოზ თვალთვაძეს 1891 წ. 20 მარტიდან დაწინა 130 მ. სენაკის სამაზრო ხაზინიდან.

ეგისამინის უ. პატიოარმ-ქათალიკოზის მარტინის სახელზედ.

უწმიდესო პატრიარქ-კათალიკოზი ემისამინისა მკრტიჩი.

დღის სნის თქვენმა სასულიერო ასპარეზზედ მოღეაწეობაზ მოუპოვა თქვენს უწმინდესობას ნიღბა სომხეთის ერისა, რომელმც აღვირჩათ თქვენ წმიდა გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის საპატრიარქო ტახტზედ ასა-ვლელად.

ეხედაც-რა თქვენს მღვდელ-მთავრულს მოქედებაში იმედს ეხოდენ ჩემს მიერ საყვარელ სომხის ეყვლების სიკეთისას და მის ძეთა სასულიერო წარმატებისას, უმოწყალესად გიბოძებოთ თქვენ, ბარტუმულაზედ სატარებლად, აღმასის ჯეარსა - ნაკურთხს ნიშანს სარწმუნოებისას, განმანეკვებელს შეყვართაც და სამწევოთაცა.

მოქანდა რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, გვიებ მარად თქვენთა მწყალობლად.

ნამდგომს მის იმპერატორებითის უდიდესულესობის ხელით აწერია:

„აღმქმდნე“

ნ უ ს ხ ა

წესხა სასულიერო წოდების იმ პირთა, რომელ-თაც საეპარქიო უწყებაში სამსახურისათვის პენ-სია დაენიშნათ.

1893 წლის მარტის თვეისა.

საქართველოს საქართველოს სამაზრო ხაზინიდან

ამერცის ეპარქიის საფუ. კისიარეთის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს დაეთ ლომთაძეს 1892 წ. 20 მარტიდანდან დაწინა 130 მ. კუთ. სამაზრო ხაზინიდან.

კუთ. მთავარ-ანგელოზის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ბესამინ გიალგაძეს 1892 წლის 9 სექტემბრიდან დაწინა 130 მ. კუთ. სამაზრო ხაზინიდან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცალენჯიხის მაცხოვრის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ნიკოლოზ თვალთვაძეს 1891 წ. 20 მარტიდან დაწინა 130 მ. სენაკის სამაზრო ხაზინიდან.

იმავე ეპარქიის ლაჩებიტის მაცხოვრის ჯვარუმას ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს გორგი მამარდაშვილს 1890 წ. 9 პრილიდგან დაწინა 130 მ. კუთ. სამაზრო ხაზინიდან.

იმავე ეპარქიის ორპირის მთავარ-ანგელოზის ეკ. შტატს გარეშე მყოფს მღვდელს სიმონ ჭერიშვილს 1892 წ. 3 ივნისიდგან დაწინა 130 მან. ფოთის სამაზრო ხაზინიდან.

იმავე ეპარქიის ლიხაურის ყოვლად წმ. ლეთის-მშობლის ეკ. პენსიის მქონე მღვ. ეგნატე კონტრიდის ქერის ეფემიას 1892 წ. 9 ინერიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაწინა 65 მ. ფოთის სამაზრო ხაზინიდან.

იმავე ეპირების ხორგის მთავარ-ანგელოზის პენ-სიას მქონე მღვ. სიმონ ბერაიას ქერის გულქანს 1892 წ. 28 მაისიდგან დაწინა 65 მან. ფოთის სამაზრო ხაზინიდან.

იმერეთის ეპარქიის მერქევის სამრევლო პენსიის მქონე მღვ. გორგი ციკვაძეს ქერის 1892 წ. 10 აპრილიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაწინა 65 მ. კუთ. სამაზრო ხაზინიდან.

სუხუმის ეპარქიის ჩიბურისხინჯის პირველ სამეგრელოს მღვ. ლორდან გაბისონიას ქერის მარიამ 1892 წ. 10 აპრილიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაწინა 65 მ. სუხუმის სამაზრო ხაზინიდან.

ქართლ-კახეთის ეპარქიის ბუშათის ცხრველ-მყოფელ სუეტის ეკ. მღვ. ვასილ ხატიაშვილის ქერის მელანიას 1889 წ. 17 დეკემბრიდგან (ქმრის გარდაცვალების დღიდგან) დაწინა 65 მან. თელავის სამაზრო ხაზინიდან.

816 ОБРАЗЕЦ. №.

სსელმაღანილობი და სხვა წიგნები,
დაწერილი თავთბ გადებაშეიდას მაკ.

დედე-მწი, ანუ ანბანი და პირველი საკითხები ჩიგნი, სატრი და სამრევლო სკოლებში სახმარებლი, მეცხრე შევსტატული გამოცემა, დაძვლილი წერა-კოხებს საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩიტულია თავში სახალავი სურათები და ბოლოში საწრი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ ალარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნება. ზასი ისევ ექტი შაურია, ყლით ორი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელმძღვანელი ელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... მინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყლით 33 კაპ.

გ უ მ გ ი ს კ უ ჩ ი, ანუ საკითხეები წიგნი, უცნოს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემცული, სურათებით და საქართველოს ქართი, დაბეჭდილი წერა-კოხებს საზოგადოების მიერ. ზასი ყლით ოთხი-აბაზი უზალუნი (90 კაპ.). უკონტ ეს გამოცემა არ ისყიდება. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცა—თუთხეტ შაურად და ენიც თ-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. მს წიგნც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშევნეობის სახელმძღვანელო მართულის ენის“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კ რ კ რ ჩ ი, ანუ ანბანი და პირველი საკითხეები წიგნი, სახლოა იმ სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეკო.

კ რ ნ კ საყმაწერილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდან, მეხამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი თათი შაური, ვინც ნადას ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

კ რ მ ღ ლ ი, ანუ ჩეჩეულთა ლექსთა კრება მაჩა-ლილ ყრმათათების, მეორე გამოცემა, ფასი ექტი ი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კ უ წ უ ლ ი, ანუ საყმაწერილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი, მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

სინაბეჭ რს ჭმენ? მოთხრობა მოზრდილი უმაწევილებიათვის, ფასი ორი შაური.

საჭის მიზიგი? საყმაწერილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

სასინების რში, საყმაწერილო მოთხრობა მჟავე მრევლეს სურათით და ქართით, ფასი ორი შაური. მირითს უგულისარობს, პუბლიცისტური წერილი დელა-ენის მიზენელობის შესახებ ტერია აღმიანის და მოელის ერის ცხოვრებასა და წარმა ტებაში, ფასი ერთი აბაზი...

(10-4)

მფლიოს ნესტონ უგანეაშეიდას მარ შედგნიდ. გამოცემულია წიგნები:

1) სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სახმარებლად: დებელი და ახალი აღთქმის სტრანია, ლოცების, სიმეონი სარწმუნოების და ათი მცნების ახსნა, დაწყებითი სწავლა საკეტლესით ისტორიიდგან და სშაველა ლეთის მსახურებაზე. ფასი თოთხმეტი შაური. 70 კ.

2) «უოლ-ქარი» აზრი და სწავლა უოლ-ქმრიაზე სალეთო წერილისაგან გამოკურებილი. ფასი ერთი შაური 5 კ.

3) ღიასი მამა და ვით ბარეჭელი ფასი ორი შაური 10 კ.

ისყიდება თბილისში: წერა-კითხეის გამაცერულებელ საზოგადოების წიგნების მაღაზიაში; ქუთაისში: ძმ. ჭილაძების და წერეთლის წიგნების მაღაზიაში და თეთი შეცვენელთან; ხანში ძმ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში მთავარ დიაკ. ისილინე ნალინაძესთან.

შინარისი: უკეთის იქნება, რომ შინაურ შარქვა-გამგებას მექეცის უკადებება. — იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეცენტაცია კრება ქ. ქუთაისში. — ირივე სიტყვა ქ. სოფერიას სამურანალომ შესახებ. — პედაგოგიური შენიშვნები სამრ. ცხ. ძალაშვილებელთა საუკადღებოდ. — ფულება. — როდის დაიწუქს და როგორ ვრცელდება თამაქას ხმრისად და რა შეღები აქეთ აღამიანის ჯანმრთელობაზე თამაქას წევას? — ახალი ამბები და შენიშვნები. — უმაღლესი რეკლამება. — ნუსხა. — საზოგადოების საუკადღებოდ. — განცხადება.

რედაქტორი და გამომუშებელი დევი. ღ. ღამაშებე. დო. ცენცირი. კუთაისი, 14 ივლი 1893 წ.

Типография редакции (П. Д. Гамвашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.